საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №48

2025 წლის 14 აპრილი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებით (ვებგვერდი, 16/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 280120000.22.026.016549) დამტკიცებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობებში შეტანილ იქნეს ცვლილება და №7 დანართის მე-11 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

	სკოლის სერჟანტი (გარდა სპეციალური ოპერაციების სარდლობის სკოლისა და პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლის სერჟანტებისა), კურსების/კურსის უფროსი (გარდა სპეციალური ოპერაციების სარდლობისა), ბაზის სერჟანტი, კურსების/კურსის სერჟანტი (გარდა სპეციალური ოპერაციების სარდლობისა), ბატალიონის სერჟანტი, ესკადრილიის სერჟანტი, ცენტრის სერჟანტი, სამინისტროს გენერალური ინსპექციის: მთავარი ინსპექტორი, უფროსი ინსპექტორი, ინსპექტორი, სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კურსების/კურსის სერჟანტი, უფროს სერჟანტ ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის რეკრუტთა საწვრთნელი ასეულის სერჟანტი, სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კავშირგაბმულობისა და უზრუნველყოფის ცენტრის დისლოცირებადი კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსი, სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კავშირგაბმულობისა და უზრუნველყოფის ცენტრის სტაციონალური კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსი, სარდლობის შტაბის G-1 სამსახურის უფროსი, სარდლობის შტაბის G-2 სამსახურის უფროსი, სარდლობის შტაბის G-3 სამსახურის უფროსი, სარდლობის შტაბის G-4 სამსახურის უფროსი, სარდლობის შტაბის G-5 სამსახურის უფროსი, სარდლობის შტაბის G-6 სამსახურის უფროსი, სარდლობის შტაბის G-7 სამსახურის უფროსი, დასავლეთის სარდლობის ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურის უფროსი, ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურის უფროსი, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურის უფროსი, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის შტაბის საჰაერო თავდაცვის სისტემების სამსახურის უფროსი – მთავარი ინჟინერი, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის შტაბის ავიაციის საინჟინრო სამსახურის უფროსი, ეროვნული გვარდიის შტაბის G-1 სამსახურის უფროსი, ეროვნული გვარდიის შტაბის G-2 სამსახურის უფროსი, ეროვნული გვარდიის შტაბის G-3	

11	სამსახურის უფროსი, ეროვნული გვარდიის შტაბის G-4 სამსახურის უფროსი, ეროვნული გვარდიის შტაბის G-5 სამსახურის უფროსი, ეროვნული გვარდიის შტაბის G-6 სამსახურის უფროსი, ეროვნული გვარდიის შტაბის G-7 სამსახურის უფროსი, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შტაბის G-1 სამსახურის უფროსი, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის უფროსი, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შტაბის G-4 სამსახურის უფროსი, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შტაბის G-5 სამსახურის უფროსი, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შტაბის G-6 სამსახურის უფროსი, სსიპ – სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სამსახურის უფროსი, სსიპ – სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების რეგიონული ცენტრის სერჟანტი, ეროვნული გვარდიის ტერიტორიული რეზერვის რეკრუტირების და მობილიზაციის მართვის სამსახურის უფროსი	375

.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 10 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**